

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი განსაზღვრავს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (შემდეგში - უნივერსიტეტი) სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიას და შესაბამის პროცედურულ საკითხებს, ასევე ადგენს უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესს.

2. წინამდებარე წესის მიზანია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში ხარისხიანი სასწავლო პროცესის განხორციელებას და სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ფორმირებას.

მუხლი 2. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას გასათვალისწინებელი კრიტერიუმები და გარემოებები

1. სრულფასოვანი საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზების მიზნით, უნივერსიტეტი სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის ეტაპზე აფასებს და ითვალისწინებს საკუთარ მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს.

2. გარდა საუნივერსიტეტო რესურსებისა, საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადებისას შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა შემოსვლის და პროგრამიდან გადინების მაჩვენებელი, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის მაჩვენებელი, ასევე, სხვა სახის წინასწარ გათვალისწინებელი ინფორმაცია/გარემოება, მისი შინაარსის გათვალისწინებით.

მუხლი 3. აუცილებელი სივრცის და ინვენტარის სტანდარტი

1. უნივერსიტეტის სტუდენტთა მაქსიმალური ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება აუცილებელი სივრცის სტანდარტი. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა უნდა იძლეოდეს სტუდენტთათვის ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესაძლებლობას.

2. აუცილებელი სივრცის სტანდარტი ითვალისწინებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) უნივერსიტეტის სასწავლო ფართის მოცულობა ერთ სტუდენტზე არანაკლებ 2.5 მ²;

ბ) უნივერსიტეტის თავისუფალი სივრცეები - არანაკლებ სასწავლო ფართის 15%;

3. უნივერსიტეტის ინვენტარი - სტუდენტებისათვის განსაზღვრული მაგიდების და სკამების რაოდენობა უნდა იძლეოდეს ზღვრული ოდენობის სტუდენტებისათვის მომსახურების გაწევის შესაძლებლობას.

მუხლი 4. კომპიუტერული ტექნოლოგიების სტანდარტი

უნივერსიტეტში სტუდენტთათვის ხელმისაწვდომი კომპიუტერების რაოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1 კომპიუტერს 25 სტუდენტზე.

მუხლი 5. საბიბლიოთეკო რესურსის სტანდარტი

1. საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა სრულად უნდა მოიცავდეს საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას. ასევე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით.

2. ბიბლიოთეკაში სივრცე, აღჭურვილობა და ინვენტარი გათვალისწინებული უნდა იყოს მათზე მოთხოვნის შესაბამისად. აღნიშნული მონაცემები გროვდება და ანალიზდება პერიოდულად, საჭიროების შესაბამისად ხორციელდება საბიბლიოთეკო ინვენტარის და ფონდის განახლება.

მუხლი 6. საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი მატერიალური რესურსი

თუ საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელია უნივერსიტეტში სპეციფიური ბაზის არსებობა, სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს არსებულ რესურსს.

მუხლი 7. აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი

1. სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის დროს მხედველობაში მიიღება საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა.

2. საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებელი ადამიანური რესურსის რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი წესით:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის ყოველ 50 სტუდენტზე გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ ერთი აფილირებული აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების ჯამური რაოდენობის არანაკლებ 51%-ის განხორციელება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალით;

გ) თუ საგანმანათლებლო პროგრამა დაგეგმილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სავალიფიკაციო ჩარჩოს“ რომელიმე მიმართულების მიხედვით, აერთიანებს დარგებს/სპეციალობებს და შესაბამისად ანიჭებს კვალიფიკაციას/კვალიფიკაციებს, პროგრამით განსაზღვრულ ყოველ დარგში/სპეციალობაში წარმოდგენილი უნდა იყოს არანაკლებ ერთი აფილირებული აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი.

3. უნივერსიტეტი აფასებს ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან ფაქტობრივი ვითარების შესაბამისობას და იღებს გადაწყვეტილებას ადამიანური რესურსთა და საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით.

4. პერსონალის მოწვევის შესახებ უნივერსიტეტი გადაწყვეტილებას იღებს, მას შემდეგ, რაც შეივსება აკადემიური პერსონალის დატვირთვა ან კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე არსებობს კვალიფიკაციური პირის მოწვევის აუცილებლობა. პერსონალის მოწვევის დროს მხედველობაში მიიღება ამ წესის მე-8 მუხლით დადგენილი თავისებურებები.

მუხლი 8. სილაბუსებით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების ორგანიზება და სტუდენტთა ჯგუფების ფორმირება

1. სალექციო ფორმატით საკონტაქტო საათების ორგანიზებისას სტუდენტთა ჯგუფის ზომა უნდა განისაზღვროს სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.

2. პრაქტიკული მუშაობისა და სასემინარო მუშაობისათვის ჯგუფში სტუდენტთა საშუალო, რეკომენდებული რაოდენობაა 30 სტუდენტი.

3. სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი, შესაბამისი კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, უფლებამოსილია, განსაზღვროს გამოსაყენებელი სწავლების მეთოდის შესაბამისად სტუდენტთა მიკრო ჯგუფებში მუშაობის აუცილებლობა (ლაბორატორიული მუშაობა და სხვა). ასეთ შემთხვევაში სტუდენტთა ოპტიმალური ოდენობის შესახებ ჩანაწერი კეთდება შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში და მტკიცდება დადგენილი წესით.

მუხლი 9. მემორანდუმები პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებებთან

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მიზნით ფასდება, რამდენი სტუდენტის უზრუნველყოფაა შესაძლებელი პრაქტიკით, საგანმანათლებლო პროგრამაში ასეთი კომპონენტის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 10. საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის მაჩვენებელი

საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადებისას, მისაღები ადგილების რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

- ა) საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტთა მხრიდან მოთხოვნის მაჩვენებელი - გაზრდის ან შემცირების ტენდენცია;
- ბ) საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობით გადმოსვლის მსურველთა მაჩვენებელი;
- გ) სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტის მაჩვენებელი (მათ შორის, მობილობით გადასვლის მაჩვენებელი);
- დ) სტუდენტთა სტატუსის შეჩერების მაჩვენებელი.

მუხლი 11. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრის წესი

1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან ერთად, უნივერსიტეტი ამ წესის მე-6 - მე-8 მუხლებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ.

2. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ზღვრული ოდენობა შეიძლება შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ ავტორიზაციის მინიჭებასთან ერთად უნივერსიტეტისათვის დადგენილი სტუდენტთა ზღვრული ოდენობა, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით ამ წესის შესაბამისად განსაზღვრულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობების ჯამს.

4. საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობების გამოცხადებისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით უნივერსიტეტისათვის დადგენილ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას და საკუთარ პრიორიტეტებს.

მუხლი 12. საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

1. საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტების

და მე-8 მუხლების გათვალისწინებით, რაც წარმოადგენს აუცილებელ მინიმალურ კრიტერიუმს. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, დარგის/პროგრამის თავისებურების გათვალისწინებით, უფლებამოსილია, ამ წესისაგან განსხვავებულად განსაზღვროს პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა.

2. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და შესაბამისი ფაქტობრივი მონაცემები მიეთითება შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაში და მტკიცდება დადგენილი წესით.

მუხლი 13. რესურსებით უზრუნველყოფა

ამ წესით განსაზღვრული კრიტერიუმების მიუხედავად, შესაძლოა, გამოცხადდეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება/მოხილობა იმაზე მეტი ოდენობით ვიდრე არსებული გარემოებები იძლევა საშუალებას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო წლის დაწყებამდე/სტუდენტთა მოხილობით გადმოსვლამდე დაგეგმილია შესაბამისი გარემოებების ცვლილება.